ბრძანება:**ბ20.20220882**

თარიღი:**29/03/2022**

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

2022 წლის 11 მარტს N13 დადგენილებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხის შესამუშავებლად ასევე მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების განსახილველად საჭიროა შეიქმნას სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო .

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ე.ვ" ქვეპუნქტის, " გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მარტის N13 დადგენილებით დამტკიცებული "გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესით" გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების მიზნით შეიქმნას სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვლადიმერ ხინჩეგაშვილი_ გორის მუნიციპალიტეტის მერი (საბჭოს თავმჯდომარე)

ბ) ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე).

გ) ტარიელ მაისურაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი).

დ) დალი ტლაშაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი).

ე) ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი).

ვ) არჩილ გიუნაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი).

ზ) გიორგი ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი (ჯგუფის წევრი).

თ) ეკატერინე კაპანაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების უფროსი (ჯგუფის წევრი).

ი) თამარ მაყიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბჭოს წევრი).

კ) მარლენ ნადირაძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (საბჭოს წევრი).

ლ) თამარ მურალოვა -გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (საბჭოს წევრი).

მ) კობა ბერიანიძე- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (საბჭოს წევრი).

ნ) მიხეილ გოგინაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (საბჭოს წევრი).

ო) ასმათ ტალახაძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (საბჭოს წევრი).

პ) დარეჯან მურადაშვილი - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის გორის ოფისის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი).

ჟ)ლაშა ხმალაძე - ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი).

რ) ნინო გოლოშვილი - ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს მდივანი).
2. დამტკიცდეს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.გორი, ჯორბენაძის ქ. N30)

ნიკა ღვინიაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი